საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორაბერეჟოული

გორაბერეჟოული, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), სუფსის დაბლობზე, მდ. სუფსის მარცხ. ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 140 მ, ჩოხატაურიდან 5 კმ, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 24 კმ. 766 მცხ. (2002).

სახელწოდება გ. მიღებულია ორი სოფლის – გორასა და ბერეჟოულის სახელთა გაერთიანებით. ადამიანს აქ ჯერ კიდევ წინაანტ. ხანაში უცხოვრია.

გ-ში შემორჩენილია ციხე-გალავანი (XVII ს. მიწურული) და ეკლესია (XIX ს.).

ი. სიხარულიძე